



საქართველოს კონტროლის პალატა

“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

3

თებერვალი

„-----“ 2012 წელი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 617/10
(01/01/2009 – 01/01/2011)

ეგზ.2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

სარჩევი

ნაწილი I – შესავალი	3
ნაწილი II – ძირითადი ტექსტი.....	4
შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის მდგომარეობა	4
განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან:.....	5
სახელმწიფო ქონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მდგომარეობა.....	7
კრედიტებისა და გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვისა და მიზნობრივად გამოყენების მდგომარეობა:	7
ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან:	10
ნაწილი III - აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	11

ნაწილი I – შესავალი

აუდიტის ჩატარების საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 28 ივნისის N40/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „დაცული ტერიტორიების სააგენტო“; იურიდიული მისამართი: 0114, ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: 275-23-52.

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი ზვიად ჭკადუა (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორი ქართლოს სახეაძე და უფროსი სპეციალისტი თეა კობიაშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური და შესაბამისობის.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

აუდიტის ჩატარების ვადა - 2011 წლის 29 ივნისიდან 2011 წლის 28 ივლისამდე.

აუდიტის პროგრამა - აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი:

სააგენტო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დაცული ტერიტორიების სააგენტო“;

სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სააგენტო წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ს, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქართველოში არსებული სახელმწიფო და ეროვნული ნაკრძალების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნებისა და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემების მართვა.

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის მდგომარეობა

აუდიტის პერიოდში სააგენტოს შემოსავლების წყაროს წარმოადგენდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (მათ შორის ფულადი გრანტები) და საკუთარი შემოსავლები.

2009 წელს სააგენტოს მიერ მიღებულია საბიუჯეტო დაფინანსება 3 927,9 ათასი ლარის ოდენობით, აქედან სუბსიდიის სახით - 3 427,9 ათასი ლარი (მათ შორის ფულადი გრანტი 198,4 ათასი ლარი), მიზნობრივ პროგრამებზე - 268,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლით - 222,5 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე - 9,5 ათასი ლარი.

2009 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით შემდეგნაირია:

(ათასი ლარი)

N	ხარჯების დასახელება	გაწეული ხარჯების მოცულობა
I.	სუბსიდიები	3 427,9
1	საბიუჯეტო სახსრები	3 229,5
1.1.	შრომის ანაზღაურება	2 608,7
1.2.	მივლინებები	52,9
1.3.	სხვა მიმდინარე ხარჯები	567,7
2	ფულადი გრანტები	198,4
II.	მიზნობრივი პროგრამები	268,0
1	პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“	239,8
2	„ხანძარსაწინააღმდეგო და მაგნიტობისაგან დაცვის ღონისძიებები“	28,2
III.	არაფინანსური აქტივები	222,5
1	საბიუჯეტო სახსრები	42,7
2	ფულადი გრანტები	179,8
IV.	ვალდებულებების კლება	9,5
სულ ხარჯები		3 927,9

2010 წელს სააგენტოს მიერ მიღებულია საბიუჯეტო დაფინანსება 8 087,9 ათასი ლარის (მათ შორის ფულადი გრანტი - 4 034,0 ათასი ლარი) ოდენობით. აქედან, 2 447,8 ათასი ლარი გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე, 33,2 ათასი ლარი - მივლინებებზე, 289,4 ათასი ლარი - მიზნობრივ პროგრამებზე, 644,1 ათასი ლარი - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნის ღონისძიებებზე, 3 983,0 ათასი ლარი - არაფინანსურ აქტივებზე (მათ შორის: 3 559,8 ათასი ლარი სათაფლიის ეროვნული ნაკრძალის რეკონსტრუქციაზე), 690,4 ათასი ლარი - სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებზე.

2010 წლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით:

(ათასი ლარი)

N	ხარჯების დასახელება	გაწეული ხარჯების მოცულობა	შენიშვნა (ფულადი გრანტები)
	საბიუჯეტო დაფინანსება სულ:	8 087,9	
I.	ხარჯები საბიუჯეტო სახსრებით:	3460,8	
1	შრომის ანაზღაურება	2 447,8	მათ შორის - 8,5
2	მივლინება	33,2	
3	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	690,4	მათ შორის - 92,5
4	მიზნობრივი პროგრამები	289,4	
4.1.	„ეკოტურიზმის განვითარება“	240,6	
4.2.	ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები	48,8	
II.	სუბსიდია - (ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში)	644,1	
III.	არაფინანსური აქტივები	3 983,0	
1	სათაფლის ეროვნული ნაკრძალის რეკონსტრუქცია	3 559,8	3 559,8
2	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია	365,8	365,8
3	სხვადასხვა	57,4	მათ შორის - 7,4

2009 წელს სააგენტოს მიერ გაწეულ იქნა, 2007 წელს გამოშვებული, ავტომანქანა „SUZUKI GRAND VITARA“-ს ძრავის ნაწილების შესყიდვა, რომელთა ღირებულებამაც 12,8 ათასი ლარი შეადგინა. 2007 წლის აგვისტოში აღნიშნული ავტომანქანა სააგენტოს გადმოეცა, სსიპ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოსგან, 28,2 ათასი ლარის ღირებულებით. სააგენტოს პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ავტომობილის გადმოცემის დროს, მას არ გააჩნდა ტექნიკური გარანტია, ხოლო სააგენტოს არ განუხორციელებია მისი დაზღვევა. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანის ძრავის შეკეთებიდან 4 თვეში შეწყვეტილია მასზე საწვავის გამოყოფა და იგი ჩანაცვლებული იქნა ახლად შეძენილი ფოლქსვაგენ-ტუარეგით.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააგენტოს საბანკო ანგარიშზე საკუთარი შემოსავლების ნაშთი შეადგენდა 45,7 ათას ლარს. აუდიტის პერიოდში მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 205,9 ათასი ლარი (2009 წელს - 86,1 ათასი ლარი, 2010 წელს - 119,8 ათასი ლარი), იმავე პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯულია 233,6 ათასი ლარი. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 18,0 ათას ლარს.

2. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან

სააგენტოს მიერ 2009 წელს განხორციელებულია 1 206,0 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრებით - 811,8 ათასი ლარის, ფულადი გრანტებით - 313,9 ათასი ლარის, საკუთარი შემოსავლებით - 80,3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელებულია 946,4 ათასი ლარის ღირებულების შესყიდვები, ფასთა კოტირებით - 146,0 ათასი ლარის, ტენდერით - 113,6 ათასი ლარის ოდენობით.

2010 წელს სააგენტოს მიერ განხორციელებულია 4 107,6 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრებით - 748,1 ათასი ლარის, ფულადი გრანტებით - 3 252,0 ათასი ლარის, საკუთარი შემოსავლებით - 107,5 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელებულია 3 696,3 ათასი ლარის ღირებულების შესყიდვები, ფასთა კოტირებით - 199,3 ათასი ლარის, ტენდერით - 212,0 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის პერიოდში ყველაზე მასშტაბურ შესყიდვას წარმოადგენდა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიების მიერ გამოყოფილი 3,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საგრანტო რესურსითა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 700 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტის თანადაფინანსების თანხებით. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, თუმცა ორივეჯერ ჩაიშალა, რის შემდეგაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 აპრილის N528 განკარგულებით სააგენტოს ნება დაერთო განხორციელებინა შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

2010 წლის 4 მაისს სააგენტოსა და შპს „დაგი“-ს შორის გაფორმდა N48 ხელშეკრულება სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, რომლის შესრულების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 20 ნოემბრამდე, ხოლო ღირებულება 6 700 ათასი ლარი. შპს „დაგი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოები დადასტურებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2010 წლის 30 დეკემბრის N17921/03 და 2011 წლის 23 თებერვლის N002409-2011/03 დასკვნებით. აღსანიშნავია, რომ ორივე დასკვნა ეხება ერთ სამუშაოს, თუმცა მათ შორის არსებობს გარკვეული შეუსაბამოებები. კერძოდ: 2010 წლის 30 დეკემბრის N17921/03 დასკვნის მიხედვით, იმ ეტაპზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება შპს „დაგის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეადგენდა 7 310 ათას ლარს (6 700 ათასი ლარის ოდენობის სახელშეკრულებო ღირებულების პირობებში), მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ იმ ეტაპზე ექსპერტებს არ წარედგინა სამუშაოების პროექტი, მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფარული სამუშაოების აქტები (თუმცა, სააგენტოს განმარტებით აღნიშნული დოკუმენტაცია შეთავაზებული იქნა), ექსპერტიზა ჩაუტარდა მხოლოდ ხილულ სამუშაოებს, რომელთა ფაქტობრივმა ღირებულებამაც შეადგინა 6 778 ათასი ლარი, ერთეულის ფასები კი შეესაბამებოდა ბაზარზე არსებულ ფასებს. დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემთხვევაში მოხდებოდა სამუშაოთა ფასების გარკვეული კორექტირება.

თუმცა, 2011 წლის 23 თებერვლის N002409-2011/03 დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის დამატებით წარდგენის შემდეგ, შესრულებული სამუშაოების ღირებულება დადგინდა 6 371 ათას ლარის ოდენობით, რაც 30 დეკემბრის დასკვნასთან შედარებით შემცირებულია 407 ათასი ლარით, მაშინ როდესაც, დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემთხვევაში (მათ შორის ფარული სამუშაოების აქტების) შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება უნდა გაზრდილიყო, მითუმეტეს, რომ ექსპერტიზის 30 დეკემბრის N17921/03 დასკვნაში ხაზგასმულია „იმ ეტაპზე“ შესრულებული სამუშაოები.

2010 წელს ასევე განხორციელდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა, რომელიც შეასრულა შპს „იბერია“. ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა ღირებულება შეადგენდა 387,4 ათას ლარს. შესრულებული სამუშაოები დადასტურებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2010 წლის 14 დეკემბრის N13422/03 დასკვნით, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 356,8 ათასი ლარი, თუმცა არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ამსახველი დოკუმენტაცია.

3. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მდგომარეობა

2009 წლის დასაწყისში, სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა 2 733,4 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, აუდიტის პერიოდში მიღებულია 12 349,2 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრებით შეძენილია - 90,4 ათასი ლარის, საკუთარი სახსრებით კი - 16,4 ათასი ლარის, გრანტის სახით გადმოცემულია - 12 179,0 ათასი ლარის, ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე აღებულია შემოსავალში - 56,6 ათასი ლარის, ხოლო უსასყიდლო უზუფრუქტით გადმოცემულია 6,8 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. 2009-2010 წლებში ძირითადი საშუალებების გასვლას ადგილი არ ჰქონია, ხოლო დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 935,8 ათასი ლარი. 2011 წლის 1 იანვრისათვის სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა 14 146,8 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

2009 წლის 1 იანვრისათვის მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენდა 670,7 ათას ლარს, აუდიტის პერიოდში შეძენილია 1 257,6 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრებით - 787,3 ათასი ლარის, საკუთარი სახსრებით - 118,4 ათასი ლარის, გრანტის სახით გადმოცემულია 322,7 ათასი ლარის, აღებულია შემოსავალში 29,2 ათასი ლარის, ხოლო ჩამოწერილია 1 401,4 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები. 2011 წლის 1 იანვრისათვის სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა 526,9 ათასი ლარის მატერიალური მარაგები.

2009 წელს სააგენტოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია 53,4 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების ზედმეტობა, ასევე 27,6 ათასი ლარის ძირითადი საშუალებებისა და 3,5 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი ინვენტარის დანაკლისი. ანალოგიურად, 2010 წლის ინვენტარიზაციით გამოვლენილია 44,3 ათასი ლარის ძირითადი საშუალებებისა და 0,9 ათასი ლარის მცირეფასიანი ინვენტარის დანაკლისი. სააგენტოს პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სხვადასხვა დროს, მასალები გადაეგზავნა სამართალდამცავ და საგამომიებო ორგანოებს.

ამასთან, 2010 წლის ინვენტარიზაციის შედეგად მტირალასა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში დაფიქსირებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ ამავე პარკებზე გადაცემული სხვადასხვა დასახელების ინვენტარი და რამოდენიმე ნაგებობა (რეინჯერთა თავშესაფრები), შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებისა და ბალანსზე სათანადო ასახვის გარეშე. მიღებული განმარტების თანახმად, აღნიშნული ქონების შეფასება და ბალანსზე აღრიცხვა განხორციელდება 2011 წელს.

4. კრედიტებისა და გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვისა და მიზნობრივად გამოყენების მდგომარეობა

2009 წელს სააგენტოს ფულადი გრანტის სახით მიღებული აქვს 378,2 ათასი ლარი. მათ შორის: 233,5 ათასი ლარი მიღებულია კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდიდან, 51,2 ათასი ლარი - ევრაზიის ფონდიდან, 93,5 ათასი ლარი - სახეობათა კონსერვაციის სამეცნერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესიდან“. აღნიშნული საგრანტო რესურსების ხარჯვა ცალკეული მუხლებისა და დონორი ორგანიზაციების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

2009 წელს მიღებული ფულადი გრანტები

N	ხარჯების დასახელება/ დონორი	კავკასიის დაცული ტერიტორიების ფონდი	ევრაზიის ფონდი	„ნაკრესი“	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება	39,4	0	0	39,4
2	საკვლევ-სადიებო სამუშაოები	27,0	0	0	27,0
3	საწვავი	22,7	0	0	22,7
4	ტრანსპორტის მოვლა-შენახვა	13,9	1,0	0	14,9
5	ავტომანქანების შეძენა	110,4	0	0	110,4
6	კომპიუტერების შეძენა	2,1	0	0	2,1
7	ველოსიპედების შეძენა	18,0	0	0	18,0
8	ვოლიერის მშენებლობა	0	50,2	0	50,2
9	ტურისტული ჟურნალების ბეჭდვა	0	0	15,2	15,2
10	საკონსულტაციო მომსახურება	0	0	78,3	78,3
ჯამი		233,5	51,2	93,5	378,2

2010 წელს სააგენტოს ფულადი გრანტის სახით მიღებული აქვს 4 034 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი, 98% გახარჯულია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებებზე (3 611 ათასი ლარი) და - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე (365,8 ათასი ლარი). გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

2010 წელს მიღებული ფულადი გრანტები

დონორი/ხარჯების დასახელება	აშშ-ს შინაგანი დეპარტამენტი	WWF	GIZ	GRAF	სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია	„ნაკრესი“	სხვადასხვა	ჯამი
სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია	0	0	0	0	3 611,0	0	0	3 611,0
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია	0	0	0	374,2	0	0	0	374,2
საკონსულტაციო სამუშაოები	0	0	0	0	0	11,8	0	11,8
სარეკლამო ღონისძიებები	0	0	6,0	0	0	0	8,8	14,8
ტრანსპორტის მოვლა-შენახვა	0	7,2	0	0	0	0	2,5	9,7
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	7,5	0	0	0	0	0	5,0	12,5
ჯამი	7,5	7,2	6,0	374,2	3 611,0	11,8	16,3	4 034

2009 წელს სააგენტოს მიღებული აქვს 7 292,5 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო გრანტი.

2009 წელს მიღებული სასაქონლო გრანტები

დონორის დასახელება	სასაქონლო გრანტის დასახელება	ღირებულება
მდგრადი განვითარების სააგენტო	თუშეთის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი	1 712 027,0
მდგრადი განვითარების სააგენტო	ვაშლოვანის ადმინისტრაციული შენობა	524 167,6
მდგრადი განვითარების სააგენტო	ვაშლოვანის ვიზიტორთა ცენტრი	833 104,2
მდგრადი განვითარების სააგენტო	ვაშლოვანის რეინჯერთა სადგურები და ბილიკები	862 777,8
მდგრადი განვითარების სააგენტო	ლაგოდეხის რეინჯერთა სადგურები და ბილიკები	580 709,0
მდგრადი განვითარების სააგენტო	ლაგოდეხის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი	577 651,6
მდგრადი განვითარების სააგენტო	კოლხეთის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი	1 162 858,0
მდგრადი განვითარების სააგენტო	ვაშლოვანის წყალმომარაგების ჰაბურდილები	18 288,0
მდგრადი განვითარების სააგენტო	დაცული ტერიტორიების სადემარლკაციო სამუშაოები	577 391,5
მდგრადი განვითარების სააგენტო	ავტომანქანები „ნისანი“ და „ჰიუნდაი“	15 011,0
მდგრადი განვითარების სააგენტო	თუშეთის ადმინისტრაციული შენობის ავეჯი	219,4
მდგრადი განვითარების სააგენტო	თუშეთის ადმინისტრაციული შენობის მცირეფასიანი ინვენტარი	69 364,4
მდგრადი განვითარების სააგენტო	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	242 890,0
თურქეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო	სატელიტური მობილურები	55 528,4
ევრაზიის ფონდი	ალგეთის ეროვნული პარკის ხიდი და საპიკნიკე აღჭურვილობა	19 917,6
თურქეთის გარემოს დაცვის სამინისტრო	ქურციკები	33 560,0
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“	სხვადასხვა ფერომენები	7 031,2
სულ		7 292 496,7

2010 წელს სააგენტოს მიღებული აქვს 961,9 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო გრანტი.

2010 წელს მიღებული სასაქონლო გრანტები

დონორის დასახელება	სასაქონლო გრანტის დასახელება	ღირებულება
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (wwf)	ვიზიტორთა ცენტრის შენობა მტირალას ეროვნულ პარკში	353 206,0
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (wwf)	სხვადასხვა ძირითადი საშუალებები მტირალას ეროვნულ პარკში	84 374,1
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (wwf)	სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი მტირალას ეროვნულ პარკში	71 673,1

ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღები და სხვა ძირითადი საშუალებები	40 600,0
აღებულია შემოსავალში დამოუკიდებელი აუდიტორების შეფასებით	ბორჯომის ვოლიერი, ნიამორები და სხვა ძირითადი საშუალებები	23 757,9
მდგრადი განვითარების სააგენტო	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	258 892,6
მდგრადი განვითარების სააგენტო	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	47 253,0
გარემოს დაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ბორჯომი“	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	2210,0
აჭარის მდგრადი განვითარების ასოციაცია	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	44 833,6
სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	3 777,7
თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო	სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებები	31 334,2
სულ		961 912,2

5. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან

სააგენტოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს მემორიალურ-ორდერული ფორმით. ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშები წარედგინება გარემოს დაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს.

➤ აუდიტის მიმდინარეობისას საბუღალტრო დოკუმენტაცია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სრულყოფილად არ იყო დალაგებული და აკინძული, რაც ეწინააღმდეგება ამ სფეროში მოქმედ ინსტრუქციას¹ და აუდიტის შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს.

➤ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 643,8 ათასი ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნის პროექტის ფარგლებში დონორის (KFW) მიერ საგრანტო სახსრების კონსულტანტის (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი - WWF) ანგარიშზე ხაზინის გაუვლელად პირდაპირ ჩარიცხვით, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. იმის გამო რომ პროექტის კონსულტანტის მიერ სააგენტოში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული თანხის ხარჯვის ამსახველი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ აღრიცხულია დებიტორულ დავალიანებად. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა პროექტის კონსულტანტის წერილები, სადაც მითითებულია, რომ იგი არ არის ვალდებული სააგენტოს წარუდგინოს მის მიერ მიღებული თანხის დეტალური ანგარიში. თუმცა, გარემოს დაცვის სამინისტროს, დონორსა და კონსულტანტს შორის 2008 წლის 19 მაისის ხელშეკრულების თანახმად, კონსულტანტი ვალდებულია დონორს წარუდგინოს საკონსულტაციო თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ინვოისების ორიგინალები, ხოლო მათი ასლები წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს.

➤ ორ შემთხვევაში, მივლინებაში მყოფ პირებზე ანაზღაურებულია სადღეღამისო ნორმის 30%, 353 ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც ხარჯებს სრულად ანაზღაურებდა მიმწვევი მხარე. რაც ეწინააღმდეგება მოსამსახურეთათვის მივლინების ხარჯების ანაზღაურების მოქმედ წესს².

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ნაწილი III - აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აუდიტორი
ქართლოს სახვამე



² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების - „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“, მე-4 პუნქტი.